

საბანკო სექტორი


სესხები ნაკადების მიხედვით

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებდა 12 კომერციული ბანკი (15 ფილიალი / 64 სერვის ცენტრი / 1 854 დასაქმებული), რომელთა მიერ 2022 წლის განმავლობაში გაცემული სესხების მოცულობამ შეადგინა 2.6 მილიარდი ლარი. გაცემული სესხების 82%-ს გრძელვადიანი სესხები წარმოადგენდა.


გაცემული სესხები (აჭარის ა.რ.)

მლნ ლარი	2018	2019	2020	2021	2022
სესხები (ნაკადები)	2 311.4	2 462.1	1 859.8	2 630.9	2 639.8
მოკლევადიანი სესხები	508.6	408.7	365.7	423.1	479.4
ეროვნული ვალუტით	381.3	307.3	272.2	286.5	323.5
უცხოურ ვალუტით	127.3	101.4	93.5	136.6	155.9
გრძელვადიანი სესხები	1 802.8	2 053.4	1 494.0	2 207.8	2 160.4
ეროვნული ვალუტით	776.3	962.8	731.4	1 125.5	1 183.9
უცხოური ვალუტით	1 026.5	1 090.6	762.6	1 082.3	976.5


ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები (აჭარის ა.რ., 2022 წ.)





სესხები ვადის მიხედვით (აჭარის ა.რ., 2022 წ.)



სესხები ვალუტის მიხედვით (აჭარის ა.რ.)




რეგიონში კომერციული ბანკების მიერ 2022 წელს იურიდიულ პირებზე გაცემულმა სესხებმა სექტორების მიხედვით შეადგინა 829.7 მლნ ლარი. სექტორულ დაკრედიტებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით გამოირჩევა ვაჭრობა (38%). ფიზიკურ პირებზე გაცემულმა სესხებმა შინამეურნეობების მიხედვით შეადგინა 1.8 მილიარდი ლარი, რომელშიც უდიდესი წილი უჭირავს სამომხმარებლო სესხებს (52%).




დეპოზიტები ნაშთების მიხედვით

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულ იქნა 2.9 მილიარდი ლარის დეპოზიტები (ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში - 43%), რომელშიც უცხოური ვალუტით დენომინირებულმა დეპოზიტებმა შეადგინა 70%. მოზიდული დეპოზიტების 29% წარმოდგენილია არარეზიდენტი პირებისგან.

მოზიდული დეპოზიტების დინამიკა (აჭარის ა.რ.)




მოზიდული დეპოზიტები სუბიექტების მიხედვით (აჭარის ა.რ.)




ფულადი გზავნილები

2022 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა ჩარიცხვების მიხედვით შეადგინა 1.1 მილიარდი აშშ დოლარი, მათ შორის საშუალო ბანკების მეშვეობით უცხოეთის ქვეყნებიდან ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ შეადგინა 888.0 მლნ აშშ დოლარი, ელექტრონული ანგარიშსწორების მიხედვით ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობამ კი - 232.8.0 მლნ აშშ დოლარი.


ფულადი გზავნილების დინამიკა ჩარიცხვების მიხედვით (აჭარის ა.რ.)



საშუალო ბანკების მიერ უცხოეთის ქვეყნებიდან ჩარიცხული ფულადი გზავნილები (აჭარის ა.რ.)



2022 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა გადარიცხვების მიხედვით შეადგინა 668.5 მლნ აშშ დოლარი, მათ შორის საშუალო ბანკების მეშვეობით უცხოეთში გადარიცხვების მოცულობა იყო 622.5 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ელექტრონული ანგარიშსწორების მიხედვით გადარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა კი - 46.0 მლნ აშშ დოლარი.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.